ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

N 3 ოქმი

09.03.2022

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი

თვითმმართველობის შენობა

რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბატონი მამუკა რიჟამაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ირაკლი შენგელია, თეიმურაზ ნადირაძე, დიმიტრი მხეიძე, ელეონორა არჩაია, გრიგოლ შუშანია, ანა კოხოძე, ქეთევან ფხაკაძე, ნინო ბიბიჩაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ირაკლი ქარქაშაძე.

ალექსანდრე ქათამაძე სოციალურ ღონისძიებათა კოორდინატორი.

სხდომა გახსნა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თამჯდომარემ, ბატონმა მამუკა რიჟამაძემ: მოგესალმებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული გვაქვს ერთი საკითხი, რომელის პრეზენტაციასაც წარმოგვიდგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბატონი ირაკლი ქარქაშაძე.

წინა შეხვედრებზე ინიციატივა წამოვიდა და მადლობა აღმასრულებელს, რომ ესე დროულად მოხდა ამ პროგრამის ორგანიზება.

ირაკლი ქარქაშაძე: მოგესალმებით, პირველ რიგში მადლობა, რომ შეიკრიბეთ, მე დღეს წარმოგიდგენთ იმ ინიციატივას რომელიც წინა კომისიაზე გაჟღერდა, მცირედი არის დასახვეწი, მაგრამ საბოლოოდ პროდუქტს წარმოგიდგენთ, ისეთი დეტალებია დასაზუსტებელი, რომელიც ჩვენ აქ ნაკლებად დაგვაინტერესებს. თუმცა იმასაც შევეხები რაც არის დასაზუსტებელი, პირველ რიგში გეტყვით, რომ 31 სოციალური პროგრამა გვაქვს, გულწრფელად, რომ ვთქვათ, ხშირად ჩვენც გვჭირდება, რომ ჩავიხედოთ ამ პროგრამებში, რომ გავიხსენოთ რა არის სარგებელი, ვინ არიან ამ პროგრამით მოსარგებლეები, თუ რას მოაიცავს ესა თუ ის პროგრამა, ასევე წინა შეხვედრაზე ბატონმა ირაკლიმაც გააჟღერა, რომ საჭიროა მეტი საჯაროობა და ცნობადობის ამაღლება, აქედან გამომდინარე გადავწყვიტეთ ვყოფილიყავით ინოვაციურები მხოლოდ ბიუჯეტის დანართი არ გამოგვეძვეყნებინა და შევქმენით ახალი პლატფორმა, რომელსაც ჯერ სამწუხაროდ სახელი ვერ მოვუფიქრეთ, მაგრამ დანარჩენს კი წარმოგიდგენთ, სოციალური პროგმაბების კალკულატორს, პრინციპი ის არი, რომ ბენეფიციარი, მიუთითებს, თავის ასაკს, მისამართს, პირადობის მოწმობის ნომერს და ამოუვარდება მას, თუ რომელი სოციალური პროგრამა ეკუთვნის მას და რა საბუთები სჭირდება, არის კატეგორიები ადამიანების, მაგალითად, პიროზითად ომის ვეტერანი, არის შშმ, არ აქვს ამ ადამიანს სოციალური ქულა, შეუძლია მიუთითოს რამდენ ქულაზე ნაკლები აქვს, ამოუგდო, ის 2 პროგრამა რითითაც მას სარგებლობა შეუძლია, რომ გავხსნით სამედიცინო პროგრამას, მას ამოუგდებას რა აუცილებელი მოთხოვნებია აღნიშნული პროგრამით სარგებლობისას, რა აუცილებელი დოკუმენტაცია, უნდა წარადგინოს, რეგისტრაცია სად უნდა გაიაროს, განმახორციელებელი ორგანო რომელია და რა სარგებელს ღებულობს, წერია 1000 ლარი სამედიცინო მომსახურებისათვის, 1500 ავთვისებიანი სიმსივნისათვის, 1000 ლარი კარდიოლოგია, გამომდინარე იქედან რომ ეს არის საკრებულოს თავმჯდომერის ინიციატივა და მეც ვეთანხმები ბატონ ირაკლის, მისამართს რომ მიუთითებს ამოუგდებს ასევე ვინ არის მისი მაჟორიტარი, ასევე მიიღებს ის მისი მაჟორიტარის ტელეფონის ნომერს და მეილს.

ირაკლი შენგელია: მინდა მოგაწოდოთ ინფორმაციის სახით, უშუალო კომუნიკაციის დროს ამომრჩეველთან ვაწყდებით, იმ პროგრამების შესახებ რასაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს

მათ შორის სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამების კუთხით ცნობიერება ნეკლებია, ეს უნდა ითქვას, თუ მათ არ მოუწიათ კლინიკასთან, ექიმთან სოციალურ თემატიკასთან ურთიერთობა მანამდე მათ უჭირთ ამ ინფორმაციის მოძიება. გენდერულ საჭოსთან ერთად გვქონდა კვლევა და ნათლად გამოჩნდა რომ ინფორმაციის სიმწირეა ადმინისტრაციული ერთეულის ჩვენს თანამშრომლებთანც კი, განსაკუთრებით ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომლებს მეტი აქვთ ინფორმაცია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვიდრე სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებზე. ამიტომ, მათი მხრიდან ყოველთვის მისამართდება მოქალაქე მერიის შესაბამის სამსახურში, ინფორმაციის დონეზე ვერ ხდება მიწოდება. ამიტომ, ჩვენ ვიმუშავებთ, ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომლებზე და დამატებითი ელექტრონული პლატფორმა შევქმნათ რომელიც გააიოლებს მათთვის ინფორმაციის მიწოდებას, ეს არის მარტივი და საჭირო ნაბიჯი, რომ ცნობიერება გაიზარდოს, ხელმისწვდომობა გავზარდოთ.

გრიგოლ შუშანია: პირველ რიგში ეს მართლა კარგია, რადგან ეს პროგრამები იმდენად მოცულობითი და რთულია, რომ ჩვენს გვიწევს ხოლმე შესაბამის სამსახურებთან კომუნიკაცია და გარკვევა, კარგი იქნება მისაღების თანამშრომლებს და ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომლებს თუ დავატრენინგებთ,

ირაკლი ქარქაშაძე: თანმაშრომლების დატრენინგება უკვე არის გათვალისწინებული.

გრიგოლ შუშანია: მამუკას, ქონდა იდეა და მეც ვფიქრობ კარგი იდეა, ის რომ დაიბეჭდოს საინფორმაციო ბარათები, რომ მაქსიმალურად მივაწოდოთ ინფორმაცია ადამიანებს.

ირაკლი შენგელია: ჩვენ ვგეგმავთ, რომ ადმინისტრაციული ერთეულის შენებებში გაჩნდეს საინფორმაციო კუთხეები. სადაც იქნება ეგ საინფორმაციო ბარათები. სადაც მოსახლეობას ექნება გაცნობის საშუალება.

დიმიტრი მხეიძე: მოგესალმებით, მინდა მადლობა გითხრათ ესეთი საინტერესო და საჭირო წინადადებისთვის, ვინც კი მაჟორიტარი ყოფილა საკრებულოს ან პარლამენტის არ აქვს მნიშვნელობა, ეს პროგრამა არის ძალიან მნიშვნელოვანი, მე ბევრ პრობლამას წავაწყდი სანამდე ჩამოავაყალიბებდი სტრუქტურას, მე ვიტყვი ცალსახად რომ ჩვენი საკრებულო მუშაობს, ამის მოფიქრება ნიშნავს, რომ ადამიანი ზრუნავს თავის მოქალაქეზე რომ ხელმისაწვდომი გახდეს ყველა პროგრამა და პროექტი, ამასთან ყველა სიკეთე რასაც

სახელწიფო აკეთებს ხალხისთვის მივიდეს ხალხამდე, დიდი მადლობა ამისთვის ყველას და განსაკუთრებით ირალი ქარქაშაძეს და ირაკლი შენგელიას,

მამუკა რიჟამაძე: არამარტო ადგილობრივი პროგრამების, არამედ სახელწიფო პროგრამებზე ინფორმაციის ნაკლებობა აქვთ მოქალქეებს, დამეთანხმებით ლარად მედიკემენტები რომ იყო, არაჩვეულებრივი პროგრამაა, ამის ინფორმაციაც მოსახლეობას არ აქვს. მინდა ვთქვა რომ მნიშვნელოვანი ამ საინფორმაციო ბარათებში სახელმწიფო პროგრამების შევიტანოთ.

დიმიტრი მხეიძე: ეს საკითხეზე, სხვა მუნიციპალიტეტების მუშაობენ თუ ჩვენ ვართ პირველები?

მამუკა რიჟამაძე: ჩვენ გასულ წელს საინფორმაციო ბარათების გაკეთებაზე დავიწყეთ ზრუნდა, თბილისმა დაგვასრო,

დიმიტრი მხეიძე: მიდნა ქუთაისი იყოს პირველი ქალაქი, როგორც ადრე იყო.

ირაკლი ქარქაშაძე: მადლობა ამხელა ჩართულობისთვის, გავაგრძელებ, გარდა იმისი, რომ ბენეფიციარს შეუძლია თავისზე მორგებული პროგრამა ნახოს, მას შეუძლია ნახოს აბსოლუტურად ყველა პროგრამა. იქვე წერია 5 კომპონენტი: 1. აუცილებელი მოთხოვნები, 2. აუცილებელი წარმოსადგენი დოკუმენტაცია 3. რეგისტრაცია თუ სად უნდა გაიარო 4. განმახორციელებელი ორგანო და უშუალოდ საკონტაქტო პირი ვინც არის პროგრამაზე პასუხიმგებელი, და 5. მიღებული სარგებელი. ძალიან მარტივად არის. გარდა სოციალური პროგრამებისა არის ჩემი მაჟორიტარი, ამ ეტაპზე მხოლოდ ქალაქ მუზეუმი გვაქვს დამუშავებული, მიკერძოებათ არა ჩაგვითვალოთ, ეს მუნიციპალიტეტი პატარა იყო და ამიტომ დანარჩენსაც ვაკეთბს, თუ ადამიანი შეიყვანს თავის მისამართს ამოუგდებს თუ ვინ არის მაჟორიტარი, არის მაჟორიტარის ფოტო, სახელი გვარი, მეილი და ტელეფონის ნომერი, ეს არის ის რასაც ბენეფიციარი ხედავს. შემიძლია სამართავი პანელიც გაგიზიაროთ, რომელზეც ჩვენს თანამშრომლებს ექნებათ წვდომა, სადაც ხდება ყველა პროგრამის დამატება, უკვე დაწყებული გვაქვს სახელმწიფო პროგრამების დამატება.

კომისიის წევრებმა ერთხმად მოიწონეს წარმოდგენილი საკითხის პრეზენტაცია.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა დაასრულა.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
მამუკა რიჟამაძე